



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სადოქტორო პროგრამა სოციალურ და კულტურულ ანთროპოლოგიაში
საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 2019 წლის 9-11 სექტემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 2019 წლის 12 ნოემბერი

თბილისი,
2019 წელი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება მისი ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს უნივერსიტეტი
უსდ-ს საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის დასახელება	სოციალური და კულტურული ანტროპოლოგია
განათლების საფეხური	სადოქტორო პროგრამა
მისანიჭებული კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სოციალური და კულტურული ანტროპოლოგიის დოქტორი 0314
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	პროფესორი ლორენცო რუკი, (ფლორენციის უნივერსიტეტი, იტალია)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	პროფ. კონსტანტინე ფირცხელაური
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქ-ნი ლანა ბოკუჩავა (სტუდენტი ექსპერტი)

აკრედიტაციის დასკვნის რეზიუმე

■ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სადოქტორო პროგრამა სოციალურ და კულტურულ ანტროპოლოგიაში (ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა) მიზნად ისახავს ანტროპოლოგიის თანამედროვე ინტერდისციპლინურ თეორიებში (სოციალურ და კულტურულ), კვლევის მეთოდებსა და მათ პრაქტიკულ გამოყენებაში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას. დოქტორებს შეეძლებათ: i) შესაბამისი ანტროპოლოგიური ცოდნის საფუძველზე, საზოგადოებაში მიმდინარე ეთნო-სოციალური და ეთნო-რელიგიური ღონისძიებების შესწავლა და ანალიზი, მოპოვებული შედეგების საფუძველზე სათანადო რეკომენდაციების მომზადება (საჭიროებისამებრ) და ამით, ქვეყნისათვის რელევანტური აქტუალური ეთნო-კულტურული პროცესების პროგნოზირება; ii) სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის სფეროში ახალი ცოდნის შექმნა და განხორციელება/განვითარება მრავალფეროვანი ეთნო-კულტურული მემკვიდრეობის პრეზერვაციით; iii) სამეცნიერო პროექტების დაგეგმვა და განხორციელება სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის აქტუალურ თემებზე; iv) საუნივერსიტეტო ლექციების / კურსების მომზადება და წარმართვა სწავლების / შეფასების თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით. ანთროპოლოგიის დოქტორი (კულტურული / სოციალური) შეიძლება დასაქმდეს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომელთა მუშაობის სფერო ეთნოკულტურული კონტექსტია (ეთნიკურ უმცირესობებთან ურთიერთობა და ეთნიკური პოლიტიკის შემუშავება, ეთნიკური, კულტურული ან რელიგიური კონფლიქტების პრევენცია და ა.შ.), ან პედაგოგიური საქმიანობის განხორციელება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

■ აკრედიტაციის ვიზიტის მოკლე მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფის აკრედიტაციის ვიზიტი საქართველოს უნივერსიტეტში შედგა 2019 წლის 11 სექტემბერს (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკადემიური პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს წარმომადგენელთან ერთად) და ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა:

- i) საქართველოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს (ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსს და პროპექტორს; ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წარმომადგენლებს; ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორს);
- ii) თვითშეფასების ჯგუფს (ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორს; ევროპული ენების კათედრის ხელმძღვანელს);
- iii) ხარისხის უზრუნველყოფიუს სამსახურის უფროსს;
- iv) პროგრამის ხელმძღვანელს;
- v) ფაკულტეტის წევრებს;
- vi) მოწვეულ ლექტორებს;

ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორის თანმხლებით საქართველოს უნივერსიტეტის ობიექტების (ბიბლიოთეკა, საკლასო ოთახები, ოფისები და ა.შ.) ვიზიტის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა:

- vii) დამსაქმებლებსა და სტაჟირების ხელმძღვანელებს (ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში; კულტუროლოგიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორის მოადგილეს)
- viii) სტუდენტებს (საქართველოს უნივერსიტეტის სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის პროგრამის დოქტორანტებს);
- ix) კურსდამთავრებულებს (საქართველოს უნივერსიტეტის ისტორიის სადოქტორო პროგრამის ყოფილ დოქტორანტებს).

შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა მოამზადეს ფინალური პრეზენტაცია და წარუდგინეს ძირითადი მიგნებები პროგრამის ხელმძღვანელს და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წარმომადგენლებს.

■ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის რეზიუმე

საერთო ჯამში, საქართველოს უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამა სოციალურ და კულტურულ ანთროპოლოგიაში აკრედიტაციის სტანდარტის სულ 17 მოთხოვნიდან შესაბამისობაშია 9-სთან, მეტწილად შესაბამისობაშია 3-თან და ნაწილობრივ შესაბამისობაშია 5-თან.

▪ რეკომენდაციების რეზიუმე

პროგრამა შესაბამისობაშია 17-დან 12 სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან და მათთვის სავალდებულოდ შესასრულებელი რეკომენდაციები არაა შეთავაზებული.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები ეხება შემდეგ საკითხებს:

- i) 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები - დამსაქმებლის / პოტენციური დამსაქმებლის მონაწილეობა არ არის განსაზღვრული, ვერ უზრუნველყოფს პროგრამის მოქნილობას და ვერ ახერხებს ბაზრის ცვალებად მოთხოვნებთან ადაპტირებას.
- ii) 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - საქართველოს უნივერსიტეტში ანთროპოლოგიის საბაკალავრო / სამაგისტრო პროგრამების არარსებობა გადამწყვეტ ნაკლად ითვლება, რომელიც პასუხისმგებელია სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების მსურველთა არარსებობაზე. სადოქტორო პროგრამის აქტიურ ფაზაში შესანარჩუნებლად სავალდებულო იქნება საქართველოს უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის გაფართოება ანთროპოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აქტივაციით.
- iii) 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - პროგრამის სასწავლო კომპონენტის გაზრდა (ინდივიდუალური კურსების რაოდენობის გაზრდა) სასწავლო პროგრამის შესაბამისად (სოციალური და კულტურული ანთროპოლოგია);
- iv) 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - დეტალურად მიუთითეთ დაინტერესებული მხარეები (საქართველოს უნივერსიტეტის გარეთ), რომლებიც ჩართულნი არიან თვითშეფასების პროცესში და პროგრამის შემუშავებაში, ასევე, მიუთითეთ მათი როლი.
- v) 2.3 კურსი - გაზარდეთ პროგრამის სასწავლო კომპონენტი (ინდივიდუალური კურსების რაოდენობის გაზრდა) სოციალურ და კულტურულ ანთროპოლოგიასთან შესაბამისობაში მყოფ დისციპლინაში (პროგრამის თემა);
- vi) 2.3 კურსი - შემოიღეთ სილაბუსის ერთიანი სტრუქტურა და განსაკუთრებით - რეკომენდებული ლიტერატურის ჩამონათვალი (დარწმუნდით საქართველოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ლიტერატურის ხელმისაწვდომობაში);
- vii) 4.1 ადამიანური რესურსები - ბალანსი აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის (ამ მხრივ პროგრამის არამდგრადობა) არის პროგრამის უმნიშვნელოვანესი სუსტი მხარე;
- viii) 4.1 ადამიანური რესურსები - საქართველოს უნივერსიტეტის გარედან მოწვეული ლექტორები უზრუნველყოფენ დამატებით და უფრო ორიენტირებულ სასწავლო კომპონენტს სადოქტორო პროგრამის კონკრეტულ სფეროში (სოციალური და კულტურული ანთროპოლოგია).
- ix) 4.3 მატერიალური რესურსები - პროგრამის სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბიბლიოთეკაში
- x) 4.3 მატერიალური რესურსები - საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზები ხელმისაწვდომი უნდა იყოს სტუდენტებისა და პერსონალისათვის

▪ რჩევების რეზიუმე

შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის წევრები ურჩევენ:

i) 5.1 შიდა ხარისხი - უნივერსიტეტი ატარებს სტუდენტებისა და ლექტორების კმაყოფილების კვლევებს სპეციალური კითხვარების საფუძველზე, თუმცა, კითხვარების შინაარსი არ ტოვებს ერთი გამოკითხვის შთაბეჭდილებას. ეს მიუთითებს იმაზე, რომ საჭიროა უნივერსიტეტის ცენტრალიზებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გადახედვა

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
არ ეხება

- **აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევების ან / და პროგრესის შეჯამება** სადოქტორო პროგრამამ სოციალურ და კულტურულ ანთროპოლოგიაში 2014 წელს გაიარა აკრედიტაციის პროცესი (პროგრამა აკრედიტებულია 2014 წლის 24 დეკემბრის # 295 დადგენილებით, საკვალიფიკაციო კოდით 1105; აკრედიტაციის ვადა იწურება 2019 წლის 21 დეკემბერს). ხელახალი აკრედიტაციისთვის მზადების პროცესში, თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის შედეგად, პროგრამა მოდიფიცირდა.

ექსპერტთა ჯგუფის წევრების აზრით, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სტუდენტთა ჩარიცხვის საკმაოდ წარუმატებელი ტენდენციის გათვალისწინებით (1 სტუდენტი პირველ წელს, 0 სტუდენტი მომდევნო წლებში), თვითშეფასების ანგარიში არ აანალიზებს სათანადო ყურადღებით პროგრამის უფრო მიმზიდველად გახდომის აუცილებლობას.

ინტერვიუს დროს, ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ ამ საკითხზე კონკრეტული შეკითხვისას, პროგრამის ხელმძღვანელმა ვერ შეძლო პროგრამის მოდიფიცირების დეტალებისა და მიზეზების ახსნა.

ამ პროგრამის ყველაზე გადამწყვეტი სუსტი მხარეა ბალანსი აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის (გასული ხუთი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი სტუდენტი). ამ მიზეზით, ექსპერტთა ჯგუფს უჩნდება არსებითი ეჭვი სოციალურ და კულტურულ ანთროპოლოგიაში სადოქტორო პროგრამის რეალურ მდგრადობასთან დაკავშირებით.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამით მკაფიოდაა განსაზღვრული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება რეგულარულად.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები განსაზღვრავენ იმ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელთა განვითარებასაც ისახავს მიზნად პროგრამა კურსდამთავრებულებში. ისინი, ასევე, ასახავენ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში შეტანილ წვლილს. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი ○ პროგრამის მიზანია თანამედროვე სტანდარტებისთვის და კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის სფეროში ბაზარზე კვლევისათვის აუცილებელი კვალიფიკაციისა და პროფესიულ-პრაქტიკული უნარების მქონე სპეციალისტის მომზადება. ამ მიზნის მისაღწევად, კურიკულუმი შეესაბამება თეორიული ცოდნის კურსებით (აკადემიური წერა სამეცნიერო პუბლიკაციებისთვის, მეცნიერების ფილოსოფია და თვისებრივი კვლევის მეთოდები, ელექტრონული სწავლების მენეჯმენტის სისტემები, ტექსტების რეზიუმირება და თარგმნა და ა.შ.). ○ პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას (კერძოდ კი მის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლას), მკაფიოა, რეალისტური, კარგად განსაზღვრული, დასაქმების ბაზარზე ორიენტირებული და მიღწევადი. ○ პროგრამა განსაზღვრავს ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელთა განვითარებას პროგრამა მიზნად ისახავს კურსდამთავრებულებში, ისევე, როგორც სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის წვლილის ილუსტრირებას დარგისა და საზოგადოების განვითარებაში; ○ პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია და გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საქართველოს უნივერსიტეტის მისია; ○ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი; ○ უნივერსიტეტის ვებ-საიტი (პროგრამა გამოქვეყნებულია); ○ სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგები.
რეკომენდაციები: ○ ამ ეტაპზე სავალდებულო რეკომენდაციები არ არის შეთავაზებული.
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: ○ არ გვაქვს კონკრეტული რჩევები
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ○ არ ეხება
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ ამ ეტაპამდე პროგრამის წინა აკრედიტაციის შემდეგ რაიმე შესამჩნევი ცვლილებაარ განხორციელებულა.
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები
➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი ○ კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის პროგრამის, დოქტორანტების, აკადემიური პერსონალისა და დამსაქმებელთა კვლევის შესწავლის შემდეგ გაირკვა, რომ: i) კულტურულ და სოციალურ ანთროპოლოგიაში პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მივყავართ პროგრამით განსაზღვრული ძირითადი ცოდნისა და პრაქტიკული უნარების განვითარებასთან; ii) კულტურული/სოციალური ანთროპოლოგიის პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციას - ხარისხს კულტურულ/სოციალურ ანთროპოლოგიაში, არის რეალისტური, გაზომვადი და მიღწევადი. iii) სკოლის დირექტორი და დაწესებულების კათედრის / პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს პროგრამის შემუშავებაში მონაწილე აკადემიური პერსონალის ჩართულობას. კერძოდ, აკადემიური პერსონალის ჩართულობა გულისხმობს გუნდური მუშაობის პრინციპს, რაც უზრუნველყოფს, რომ პროგრამა ასახავდეს არა მხოლოდ მისი ხელმძღვანელის ხედვას, არამედ ითვალისწინებდეს გამოცდილი აკადემიური პერსონალის შეხედულებებს; ○ დამსაქმებლის / პოტენციური დამსაქმებლის ჩართულობა არ არის განსაზღვრული, რაც ვერ უზრუნველყოფს პროგრამის მოქნილობას და ბაზრის ცვლებად მოთხოვნებთან ადაპტირებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სადოქტორო პროგრამა კულტურულ/სოციალურ ანთროპოლოგიაში; ○ უნივერსიტეტის მისია; ○ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი; ○ უნივერსიტეტის ვებ-საიტი (პროგრამა გამოქვეყნებულია); ○ სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგები.
რეკომენდაციები: ● დამსაქმებლის / პოტენციური დამსაქმებლის ჩართულობა არ არის განსაზღვრული, ვერ უზრუნველყოფს პროგრამის მოქნილობას და ვერ ახერხებს ბაზრის ცვლებად მოთხოვნებთან ადაპტირებას.
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: არ გვაქვს რჩევები
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ○ არ შეესაბამება
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ამ ეტაპამდე პროგრამის წინა აკრედიტაციის შემდეგ რაიმე შესამჩნევი ცვლილება არ განხორციელებულა.
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობა შეა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შეა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის ამოცანები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან.	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: i) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ჰუმანიტარულ, სოციალურ და ქცევითი, ინტერდისციპლინარულ ან სამართლის მეცნიერებებში; ii) ინგლისური ენის ცოდნა მინიმუმ B2 (შუალედური) დონეზე (ინგლისური ენის ცოდნის საერთაშორისო სერთიფიკატი); iii) კვლევის კონცეფციის წარმოდგენა და ინტერვიუს გავლა სპეციალობაში (ინტერვიუს თემები ხელმისაწვდომია საქართველოს უნივერსიტეტის ვებ-საიტზე).
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებენ პროგრამის მახასიათებლებს და უზრუნველყოფენ სტუდენტების მიღებას პროგრამის ათვისებისთვის შესაბამისი ცოდნით, უნარებითა და კომპეტენციებით;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არის გამჭვირვალე, მათ შესახებ სრული ინფორმაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-საიტზე (www.ug.edu.ge), ასევე, პროგრამის ხელმძღვანელთან პირადი კონსულტაციების საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (კრიტერიუმები და პროცედურები) მკაფიოადა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-საიტზე (<http://www.ug.edu.ge/public/programs>);
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაციის საჯაროობა და მისი გავრცელების მეთოდები ადეკვატურია, რადგან ამ როლს უნივერსიტეტის ვებ-საიტი ასრულებს.
- სადოქტორო პროგრამაზე მიმღები კომისიის შემადგენლობა (და ფუნქციონირების წესი) არ არის დეტალურად გაწერილი.
- ამ საკითხთან დაკავშირებული გასაუბრებები იყო ნაწილობრივ დამაკმაყოფილებელი.

რეკომენდაციები: ○ ამ ეტაპზე განაცხადი აკმაყოფილებს სტანდარტების მოთხოვნებს და არ არის შესასრულებლად სავალდებულო რეკომენდაციები შეთავაზებული.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ○ არ შეესაბამება
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ ამ ეტაპამდე პროგრამის წინა აკრედიტაციის შემდეგ რაიმე შესამჩნევი ცვლილება არ განხორციელებულა.
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამა შედგენილია საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, დიზაინისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება უმაღლესი განათლების დონეს და ითვალისწინებს დაშვების წინაპირობებს;
- პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა ნაწილობრივ შეესაბამება კვალიფიკაციას (ანთროპოლოგიის სფეროში მხოლოდ 10 ECTS არის შემოთავაზებული: *ANTH 7210 ანთროპოლოგიის სპეციალობის კურსი*)
- პროგრამა სტრუქტურირებულია საქართველოს კანონმდებლობის და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად;
- საქართველოს უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის საბაკალავრო პროგრამა გაუქმდა რამდენიმე წლის წინ. საქართველოს უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამის არარსებობა მიიჩნევა მნიშვნელოვან სუსტ მხარედ იმ სტუდენტთა ძალიან მცირე რაოდენობის თვალსაზრისით (არცერთი სტუდენტი ბოლო ოთხი წლის განმავლობაში), რომლებიც ირჩევენ სადოქტორო პროგრამას;
- თვითშეფასების პროცესში ჩართული საქართველოს უნივერსიტეტის გარე დაინტერესებული მხარეები (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და ა.შ.), დეტალურად არ არიან მითითებულნი;
- უმაღლესი სასწავლო დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა განიხილეს საქართველოს უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, დიზაინისა და შემუშავების მეთოდოლოგია; შეამოწმეს საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები, ისევე, როგორც როგორც კურიკულუმის რუკა;
- პროგრამის დიზაინის პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი;
- კვლევისა და ინტერვიუს შედეგებმა ვერ განმარტა სუსტი მხარეები (იხ. რეკომენდაციები).

რეკომენდაციები: ○ საქართველოს უნივერსიტეტში ანთროპოლოგიის საბაკალავრო / სამაგისტრო პროგრამების არარსებობა გადამწყვეტ ნაკლად ითვლება, რომელიც პასუხისმგებელია სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების მსურველთა არარსებობაზე. სადოქტორო პროგრამის აქტიურ ფაზაში შესაწარმუნებლად სავალდებულო იქნება საქართველოს უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის გაფართოება ანთროპოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აქტივაციით. ○ დეტალურად მიუთითეთ დაინტერესებული მხარეები (საქართველოს უნივერსიტეტის გარეთ), რომლებიც ჩართულნი არიან თვითშეფასების პროცესში და პროგრამის შემუშავებაში, ასევე, მიუთითეთ მათი როლი.
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: არ გვაქვს რჩევები
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ○ არ შეესაბამება
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ საქართველოს უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის საბაკალავრო პროგრამა გაუქმდა რამდენიმე წლის წინ. საქართველოს უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამის არარსებობა მიიჩნევა მნიშვნელოვან სუსტ მხარედ იმ სტუდენტთა ძალიან მცირე რაოდენობის თვალსაზრისით (არცერთი სტუდენტი ბოლო ოთხი წლის განმავლობაში), რომლებიც ირჩევენ სადოქტორო პროგრამას;
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.3 კურსი ➤ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსებში ჩამოთვლილი სასწავლო მასალა ეფუძნება სფეროში არსებულ ძირითად მიღწევებს და უზრუნველყოფს პროგრამის გამიზნული სწავლის შედეგების მიღწევას.
--

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი ○ თითოეული სავალდებულო კურსის სწავლის შედეგები მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს (მხოლოდ 10 ECTS არის შეთავაზებული ანთროპოლოგიის სფეროში: ANTH 7210 ანტროპოლოგიის სპეციალობის კურსი) ○ სილაბუსი ნათლად განსაზღვრავს მიზანს, წინაპირობებს, სწავლის შედეგებს და სწავლების მეთოდებს. ○ ზოგიერთი საგნის სილაბუსი არ შეიცავს რეკომენდებული ლიტერატურის ჩამონათვალს (მაგ., LANG 7217 - "აკადემიური წერა სამეცნიერო პუბლიკაციებისთვის"), ზოგიერთში კი ჩამოთვლილია რეკომენდებული ლიტერატურის ზედმეტი რაოდენობა (მაგ., METH 7117 - "თანამედროვე სწავლება", მითითებულია 36 წყარო; ANTH 7210 - "ანტროპოლოგიის სპეციალობის კურსში" - 71 წყარო) ○ კურსის შინაარსი (თეორიული და ლაბორატორიული / პრაქტიკული ნაწილი) შეესაბამება საქართველოს უნივერსიტეტის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ○ ინდივიდუალური კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება მოცემული საგანმანათლებლო კურსის სწავლის შედეგებს. ○ თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილია საკონტაქტო და ინდივიდუალური საათები, რომლებიც ადეკვატურია მოცემული მასალებისთვის და სწავლის შედეგების მისაღწევად. ○ საკონტაქტო-დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა განისაზღვრება კურსის სპეციფიკის, შინაარსის, სასწავლო მასალებისა და განათლების ციკლის შესაბამისად. ○ სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევა ფასდება სილაბუსში განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად; სასწავლო კომპონენტების სილაბუსებში მითითებული რესურსები ყოველთვის არ არის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (იხ. პუნქტი 4.3)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა განიხილეს საქართველოს უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამა სოციალურ და კულტურულ ანთროპოლოგიაში და მისი სასწავლო მოდულის კომპონენტის სილაბუსები, ისევე, როგორც პროგრამის კურიკულუმის რუკა. ○ კვლევისა და ინტერვიუს შედეგებმა სრულად ვერ განმარტა სუსტი მხარეები (იხ. რეკომენდაციები).
რეკომენდაციები: ○ გაზარდეთ პროგრამის სასწავლო კომპონენტი (ინდივიდუალური კურსების რაოდენობის გაზრდით) სასწავლო პროგრამის შესაბამისად (სოციალური და კულტურული ანთროპოლოგია); ○ შემოიღეთ სილაბუსის ერთიანი სტრუქტურა და განსაკუთრებით - რეკომენდებული ლიტერატურის ჩამონათვალი (დარწმუნდით, რომ საქართველოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ლიტერატურის ხელმისაწვდომობაში);
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: ○ არ გვაქვს კონკრეტული რჩევები
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ○ არ ეხება
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ პროგრამა შეიცვალა, კერძოდ მოხდა კურიკულუმის მოდულში ძირითადი და არჩევითი საგნების დიფერენციაცია. არჩევით კურსებს დაემატა ორი კურსი (MATH7010 კვლევის რაოდენობრივი მეთოდები და INFO7110 ელექტრონული სწავლების მენეჯმენტის სისტემები), რომლებსაც სთავაზობენ საქართველოს უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტების პროფესორები (მოწვეული ლექტორები). ეს ითვლება მნიშვნელოვან მიღწევად, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ძირითადი თემა (ანთროპოლოგია) პროგრამის სწავლის კომპონენტში ჯერ კიდევ ძალიან მწირია (მხოლოდ 10 ECTS არის შეთავაზებული ანთროპოლოგიის სფეროში: ANTH 7210 სპეციალობის კურსი ანთროპოლოგიაში)

შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტის პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /აკადემიური მოსწრებისა და ტრანსფერული უნარჩვევების განვითარებას ან/და მათ ჩართულობას კვლევით პროექტებში, პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი ○ სადოქტორო პროგრამა სოციალურ და კულტურულ ანტროპოლოგიაში უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა გამოიმუშაონ პრაქტიკული უნარები და იყვნენ ჩართულნი სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, რომლებიც შესაბამისობაშია განათლების დონესთან და პროგრამის სწავლის შედეგებთან; ○ დოქტორანტის სამეცნიერო საქმიანობას მხარს უჭერს საქართველოს უნივერსიტეტის შესაბამისი ერთეულები / სამსახურები, რომლებიც უზრუნველყოფენ დოქტორანტების ინფორმირებას შესაბამის სამეცნიერო პროექტებზე, მობილობის საერთაშორისო შესაძლებლობებსა და გაცვლით პროგრამებზე საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, აგრეთვე, საერთაშორისო მობილობისთვის ფინანსურ მხარდაჭერას. ○ პრაქტიკული კომპონენტის ან / და სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში სტუდენტს ხელმძღვანელობს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც არის კვალიფიციური პირი სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის სფეროში; მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ჩარიცხული ერთადერთი სტუდენტი მონაწილეობდა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში; ○ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ჩარიცხული ერთადერთი სტუდენტი ესწრებოდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებს. ○ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთმა ჩარიცხულმა სტუდენტმა დაასრულა სამთვნიანი კვლევითი სტაჟირება მაქს პლანკის ინსტიტუტში (გერმანია); ○ გამოკითხვისა და ინტერვიუს შედეგები სასარგებლო იყო ამ საკითხების გასარკვევად. რეკომენდაციები: ○ ამ ეტაპზე განაცხადი აკმაყოფილებს სტანდარტების მოთხოვნებს და არ არის შესასრულებლად სავალდებულო რეკომენდაციები შეთავაზებული. რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ არ გვაქვს კონკრეტული რჩევა საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ○ არ ეხება მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ ამასთან დაკავშირებით, პროგრამა უკვე შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან და არ იყო საჭირო რაიმეს რეალიზაცია შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის (SCL) მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი ○ საქართველოს უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამა შეიცავს სწავლების შედეგების მისაღწევად სწავლების მეთოდების შესახებ დეტალურ განმარტებას. ○ სწავლის პროცესი ორიენტირებულია სტუდენტზე. ○ სწავლება-სწავლის მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. ○ ინდივიდუალობის ხარისხი იქმნება არჩევითი საგნების არსებობით, რომლებიც სტუდენტებს შეუძლიათ შეარჩიონ თავიანთი ინტერესის შესაბამისად. სადოქტორო პროგრამა სტრუქტურირებულია ევროპული ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის შესაბამისად. სწავლების მეთოდები განათლების სადოქტორო დონის შესაბამისია. ○ დოქტანტი მუშაობს კვლევით ნაშრომზე ზედამხედველის მონიტორინგის ქვეშ, რომელიც არის პროგრამის ხელმძღვანელი. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, ასევე გაცვლით პროგრამებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუები აკადემიური პერსონალთან/მოწვეულ პერსონალთან და სტუდენტებთან ○ სადოქტორო პროგრამა ○ სილაბუსები
რეკომენდაციები: ○ ამ ეტაპზე სავალდებულო რეკომენდაციები არ არის შეთავაზებული.
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: ○ არ გვაქვს კონკრეტული რჩევები
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ○ არ შეესაბამება
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ ამ ეტაპამდე პროგრამის წინა აკრედიტაციის შემდეგ რაიმე შესამჩნევი ცვლილება არ განხორციელებულა.
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. იგი გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.
